№ 99 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. ხუთშაბათი, 6 მაისი 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

## გაიცემა იჯარით საწყობებისთვის
## ათ ას საჟენზე მეტი ადგილი

**დიდი მთავრის ქ., № 24,**

სადაც იყო შეშის და ხის მასალის საწყობი.

პირობების შეტყობა შეიძლება 9—3 საათამდე მიწათ-მოქმედების სამინისტროში ქარვასლის და ელექტრონის კანტორაში, დამფუძნებელ კრების ქ., № 5 (ყოფილი თავად-აზნაურობისა).
445

## ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი  გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა

### დროებითი კანონი

**ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულების შეცვლისა.**

(კან. დამთავრ. განკარგ. კრებული 1919 წ. № 1 კან. 8).

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებაში (კან. და მთავრ. განკარგ. № 1 კან. 8) დროებით შემოღებულ იქნეს შემდეგი ცვლილება.

1. სასამართლოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად გამოწვეულ ნაფიც მსაჯულს მიეცემა გაცდენისათვის დღიურად 150 მან., ხოლო გზის ხარჯად ვერსზე 10 მანეთი, (დებ. ნაწ. 1 მუხ. 2) უკეთუ მისი ადგილ-საცხოვრებელი ათ ვერსზე მეტით არის დაშორებული სხდომის ადგილს.

2. პირველ მუხლში აღნიშნული ხარჯის დასაფარავად გადადებულ იქნეს ხაზინიდან იუსტიციის მინისტრის განკარგულებისათვის ყოველ თვიურად ორასი ათასი (200,000) მანეთი, ხოლო ამა 1920 წლის მარტის 1-დან ივნისის 1-დე ექვსასი ათასი (600,000) მანეთი.

3. არაკანონიერი მიზეზით სასამართლოში გამოუცხადებლობისათვის ნაფიცი მსაჯული დაისჯება პირველად და მეორედ დაჯარიმებით ორასი (200) მანეთიდან ათას (1.000) მანეთამდე, მესამედ, გარდა ფულით დაჯარიმებისა, პასუხის მგებლობით, სასჯელთა დებულების თანახმად.

დროებითი კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 23-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

### დ ე კ რ ე ტ ი

**ტფილისის სამხედრო სკოლის საჭიროებისათვის დამატებით 195,000 მან. გადადებისა.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამხედრო მინისტრის განკარგულებისათვის ას ოთხმოცდათხუთმეტი ათასი (195,000) მანეთი ტფილისის სამხედრო სკოლის 1919—1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის § 13-ს, მუხ. 2-ს დამატებად.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 27-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

### დ ე კ რ ე ტ ი.

**დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის განკარგულებისათვის 300,000 მან. გადადებისა 26 მაისის დღესასწაულის მოსაწყობად.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის განკარგულებისათვის სამასი ათასი (300,000) მან. მიმდინარე წელს 26 მაისის დღესასწაულის მოსაწყობად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 27-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი
**ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

### შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

**რესპუბლიკის ცენტრალი სამეცნიერო არქივისა 1920 წლის მარტის 1-დან ივნისის 1-დე**

| №№ რიგზე. | თანამდებობისა და ხარჯის სახელწოდება. | თანამდებობის პირთა რიცხვი. | თვითეულს თვიურად. | ყველას თვიურად. | ყველას 1920 წ. მარტის 1-დან ივნისის 1-დე. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დირექტორი | 1 | 7000 | 7000 | 21000 |
| 2 | განყოფილების გამგე | 3 | 6000 | 18000 | 54000 |
| 3 | განყოფილების გამგის თანაშემწე | 3 | 5000 | 15000 | 45000 |
| 4 | ბარათების შემდგენელი სტატისტიკოსი | 5 | 3500 | 17500 | 52500 |
| 5 | ამკინძავი | 3 | 3000 | 9000 | 27000 |
| 6 | მანქანით გადამწერი | 2 | 2500 | 5000 | 15000 |
| 7 | დაბალი მოსამსახურე | 4 | 1950 | 7800 | 23400 |
| 8 | შენობის შესანახ-გასათბობ-გასანათებელი | — | — | — | 5000 |
| 9 | საკანცელარიო ხარჯისათვის (ნივთები, კარტონები, საკერავი მასალა, სასტატისტიკო ბარათების დაბეჭდვა და სხვა) | — | — | — | 10000 |
| | ს უ ლ | 21 | 28950 | 79300 | 252900 |

1920 წ. აპრილის 23-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## ტფილისის ვაჭართა ბანკის გამგეობა

აუწყებს ბ. ბ. აქციონერებს თავის წინა განცხადების დამატებით, რომ 30 მარტს დანიშნულ ჩვეულებრივ

## საზოგადო კრებაზე

აირჩევა აგრეთვე ბანკის საბჭოს ერთი წევრი, რომელიც წასულ წლის ივნისის 1—8 საზოგადო კრებაზე არ იქნა არჩეული.
491 1—1

## საქართველოს სატრანსპორტო საზ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ გარდა იმ საკითხებისა, რომელიც აღნიშნული იყო პირველ განცხადებაში (იხილე ამა წლის „საქართველოს რესპუბლიკა №№ 89—90 და „გრუზია“ №№ 18 19) აქციონერთა საგანგებო

## საზოგადო კრებას

მიმდინარე მაისის 15-ს წარედგინება განსახილველად საკითხი შესახებ საზოგადოების წესდების ზოგიერთ პარაგრაფების შეცვლისა, სახელდობრ: §§ 1, 2, 7, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 46, 47, 57, და დამატება პარაგრაფებისა $12^1$, $12^2$, $12^3$ და $12^4$
2—1 492

გამგეობა

### განკარგულებანი

**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა.**

№ 11.

მთავრობის საქმეთა მმართველობის მდივანი (მთავრობის საქმეთა მმართველის თანაშემწე) დიმიტრი ილიას ძე დიდებულიძე განთავისუფლებულ იქმნას თანამდებობიდან ა. წ. პირველი მაისიდან მისი ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგად დანიშვნის გამო.

მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

—

**შინაგან საქმეთა მინისტრისა.**

30 აპრილი, 1920 წ., № 31.

**ინიშნება:** ირაკლი ილიას ძე ფერაძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის მოანგარიშე მოხელე დ. ა. ბოჭორიშვილი და იმავე კანცელარიის მოხელენი ა. ნ. მალიუჟენკო და ი. ი. იოსელიანი—პირველი მათგანი საქმის მწარმოებლად ა. წ. 20 აპრილიდან, მეორე ბუჰხალტრის თანაშემწედ, ხოლო მესამე და მეოთხე კი მოანგარიშე მოხელეებად; შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის მოხელენი ა. დ. ჯინჭარაძე და ლ. ნ. იმედაშვილი—პირველი იმავე კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწედ, მეორე კი თარჯიმნათ, ორივენი 1920 წლ. 1 აპრილიდან.

**დათხოვნილნი არიან:** შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებელი პ. ი. შენგელია და ა. პ. ტყემალაძე, ქალაქის თვითმართველობაში გადასვლის გამო, ორივენი ა. წ. 30 აპრილიდან.

30 აპრილი, 1920 წ., № 32.

**დათხოვნილია:** შინაგან საქმეთა მინისტრის მზრუნველობის საქმეთა შესახებ განსაკუთრებული რწმუნებული ნ. კ. ჩიქვაიძე თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ვიცე-დირექტორი ვ. ნ. მგალობლიშვილი, დროებით შინაგან საქმეთა მინისტრის მზრუნველობის საქმეთა შესახებ განსაკუთრებულ რწმუნებულათ თავის თანამდებობაზე დატოვებით.

№ 33.

**დამტკიცებულნი არიან:** შინაგან სავეტერინარო პუნქტების თანამდებობის აღმასრულებელნი ექიმი-ვეტერინარები ტფილისისაშიო დედაბრიშვილი, ტფილისისა—იაკობ ტიგერრი, ახალციხისა—ვაგან თევზიევი, ახალქალაქისა—ანტონი დოსიჩევი, ქუთაისისა—ალექსანდრე ბაგმანიანცი, ფოთისა—შალვა ხუციშვილი, სოხუმისა—ნიკოლოზ ჩერნიშევი; სანაპირო სავეტერინარო პუნქტებისა: სოფელ ყვარელში—დავით ცისკარაშვილი, სოფელ გავაზში—ანდრია ნადირაძე, სოფელ ლაგოდეხში—სტანისლავ კრასნოვსკი, სოფელ სტეფანწმინდაში—კარლ ატერნი, სოხუმის ოლქის საზღვარზედ—ივანე დეკანოზიშვილი, სომხეთის საზღვარზედ—გიორგი ტაბლიაშვილი, ნახსენებ თანამდებობაზედ; ყველანი პირველ ნოემბრიდან 1919 წლის.

26 აპრილი, 1920 წ., № 34.

დამტკიცებულნი არიან: ვეტერინარ-სანიტარული განყოფილების გამგის თანამდებობის აღმასრულებელი ვლადიმერ ლაშხაური, მისი თანაშემწე დავით ახმეტელაშვილი, საქმის მწარმოებლისა მიხეილ მერიანიშვილი, ამავე განყოფილებისა რწმუნებულისა დასავლეთ საქართველოში ექიმი—ვეტერინარი გალაქტიონ მასხარაშვილი; ლაშხაური ვეტერინარ-სანიტარული განყოფილების გამგედ, ახმეტელაშვილი მის თანაშემწედ, მირიანიშვილი განყოფილების საქმის მწარმოებლად და მასხარაშვილი ექიმ-ვეტერინარად მინდობილობისათვის; ყველანი ნოემბრიდან 1919 წლისა.

შინაგან საქმეთა მინისტრის
ამხანაგი **ქიქინაძე.**

—

**საქართველოს სენატის სამოქალაქო დეპარტამენტის სადმინისტრაციო განყოფილებისა**

27 აპრილი, 1920 წ., № 22.

**დათხოვნილ** იქნას სამსახურიდან, თანახმად თხოვნისა, სიღნაღის მაზრის მომრიგებელი მოსამართლე პავლე ილიას ძე მოსულიშვილი 1920 წლ. 24 აპრილიდან.

თავმჯდომარის მაგიერ **გრ. გველესიანი.**

—

**იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.**

16 აპრილი, 1920 წ., № 108.

**განთავისუფლებულ** იქნას თანამდებობიდან თანახმად თავისი თხოვნისა სიღნაღის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ალექსანდრე ზაქარიას ძე მჭედლიშვილი ა. წ. მაისის 1-დან.

30 აპრილი, 1920 წ. № 128.

**დაინიშნა:** სამინისტროს კანცელარიის მოხელის თანამდებობის აღმასრულებლად ოლღა მიხეილის ასული ხერხეულიძე-იანკოვსკისა ა. წ. აპრილის 23-დან.

დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი გ. **ჟორდანია.**

## არა ოფიციალური განყოფილება

### მთავრობაში

**29 აპრილის სხდომა.**

დაესწრნენ: ბ. ბ. ნ. ჟორდანია, არსენიძე ხომერიკი, გეგეჭკორი, ერაძე, რამიშვილი, ანდრონიკაშვილი, ცინცაძე ნ. ქიქინაძე ნ. გედევანიშვილი, ავალიანი, ბახტაძე, ქარცივაძე, ალშიბაია, გ. ჟორდანია, ბ. ქიქინაძე. მდივანი დ. ლომიაძე.

**თანამდებობაზე დანიშვნა.**

ტფილისის მე-10 უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ივანე ტიმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეს ძე პოლუმორდვინოვი დაინიშნოს ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგად.

**ნახშირ-მჟავის ბალონებზე ბაჟის ახსნა.**

ბორჯომის სახელმწიფო მამულის გამგის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს და ნებადართულ იქნას ნახშირ-მჟავის ბალონების (ბორჯომის მამულის მისამართით) უბაჟოდ შემოტან-გატანა.

**ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის მოსამსახურეებზე სატარიფო პალატის დადგენილების გავრცელება.**

ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის მოსამსახურეებზე დამატებითი ჯამაგირები გავრცელდეს იმ ტარიფის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია სატარიფო პალატის მიერ 1920 წლ. 21 იანვარს.

**გასატან საქონელზე დროებითი ბაჟის შემოღება.**

ფინანსთა მინისტრის მოხსენებასთან წარმოდგენილი გასატან საქონელზე დროებითი ბაჟის ტარიფი მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას დასამტკიცებლად შემდეგი შესწორებით: ადგილობრივი ჩაის, კაკლის, დაუმუშავებელი ხის მასალის (მაგარი და რბილი ჯიშისა), ფიცრების და ყოველგვარ დამუშავებულ ხის მასალის, ქვა ნახშირისა და ადგილობრივი ქსოვილი შალის გატანა აკრძალულ იქნას. ნებადართულ იქნას აბრეშუმის თესლის უბაჟოთ გატანა.

**მ. არამიანცის ქონების იძულებით ჩამორთმევა.**

1. მიხეილ იოსების ძე არამიანცს იძულებით ჩამოერთვას სახელმწიფოს საკუთრებად მუშათა სასახლისათვის მეორე უბანში რუსთაველის პროსპექტზე № 17, მდებარე მამული ქალაქის აღწერილობით № 95-96-97 მასზედ აგებულ ექვს სართულიან შენობით. მიწა ზომით 432 ოთხკ. საჟენი, შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით—მამული თუმანოვებისა, დასავლეთით—რუსთაველის პროსპექტი, ჩრდილოეთით—მამული აბიანცისა და სტამბის შესახვევი, სამხრეთით—ნინოშვილის ქუჩა, რომელიც 1918 წ. მარიამობისთვის 27-დან იყო შეფასებული ორას ოთხმოცდა თხუთმეტ ათას მანეთად (295.000 მან.)

2. აღნიშნულ მამულის საფასურად ბ-ნ არამიანცს მიეცეს 2.950.000 მან.

3. გადაიდოს შრომის სამინისტროს განკარგულებაში 100.000 მან. ათ მილიონიან ფონდიდან მე-2 მუხლში აღნიშნულ თანხის ნაწილის გადასახდელად.

დაევალოს შრომის სამინისტროს წარმოუდგინოს მთავრობას დასამტკიცებლად პროექტი ამ მამულის გამგებლობისა.

**ზარალის ანაზღაურება.**

გადაიდოს სამხედრო სამინისტროს სამნეო კომიტეტის განკარგულებაში 22,204 მან. 6 კაპ. სამხედრო ფონდიდან გაგრის კლიმატიურ სადგურის სახალხო სასადილოსათვის ჯარის ნაწილებისაგან მიყენებულ ზარალის ასანაზღაურებლად.

**რკინის გზელთათვის დახმარების მიცემა**

შორაპნის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირს რკინის გზის სამასალო განყოფილებიდან დაეთმოს კლუბის ასაგებად ნათხოვნი მასალა ძველი ფასების ათ-ჯერ გადიდებით ე. ი. 150000 მანეთათ.

## შინ. საქმეთა სამინისტროში

**მაზრის მილიციის უფროსის ახვლედიანის დეპეშა.**

შინაგან საქმეთა მინისტრმა ტფილისის მაზრის მილიციის უფროსისგან ახვლედიანისგან მიიღო შემდეგი დეპეშა: „ტფილისის მაზრის რაიონის მილიციის უფროსების თათბირი მოწვეული დღევანდელ მომენტის გამო უცხადებს თავის უღრეს ნდობას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას და დამფუძნებელ კრებას აღუთქვამს ყოველივე დახმარებას და სდებს ფიცს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის დაიცავს საქართველოს დამოუკიდებლობას და დემოკრატიულ წყობილებას.

**გაქცეულ ყაჩაღების დაჭერა.**

ზუგდიდიდან შინ. საქ. სამინისტროს ატყობინებენ, რომ იქ ხანგრძლივ დევნის შემდეგ დაიჭირეს სენაკის სატუსაღოდან გაქცეული ყაჩაღები: ბიგვავა, გვასალია, ქაჯაია; ბიგვავა მძიმედ დასჭრეს.

**ყანების დამუშავება.**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის ყველა სამაზრო ერობებს დაუგზავნა მთავრობის დადგენილების ცირკულიარი, რომლითაც თემებს ევალებათ დაამუშაონ ყველა საყანეები იმ პირებისა, რომლებთაც რჩება დაუთესავი მიმდინარე მობილიზაციით გაწვევის გამო. აუწყებს რა ამას შინაგან საქმეთა სამინისტრო სთხოვს ყველა სამაზრო ერობებს, რომ მთავრობის დადგენილებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და ცხოვრებაში უნაკლოდ გაატარონ.

## სამხედრო მინისტრის ბრძანება.

თანახმად მთავრობის დადგენილებისა, ასპინძის ომის 150 წ. თავის აღსანიშნავად, როდესაც თავგანწირულად სამშობლოს ერთგულებმა ორი ათასმა ქართველ მეომარმა შემუსრა მძარცველ ოსმალეთის ორმოც ათასიანი კორპუსი, დღეიდან მე-9 ქვეითა ათასეულს ეწოდოს „მეცხრე ქვეითა ასპინძის ათასეული“.

სამხედრო მინისტრი გ. ლორთქიფანიძე.

ტფილისი მაისის 5, 1920 წ.

## სამხედრო ცნობა

**(ოპერატიული ცნობები გენერალური შტაბისა, 5 მაისი 1920 წ.)**

გაგრის ფრონტზე ჩვენ წინ პოზიციები დაიკავეს წითლებმა და აღმართეს წითელი დროშა წარწერით: „გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს“.

—

ბათუმის და არტაანის მიმართულებით არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ინგლისელების თანხმობით ჩვენმა ჯარმა დაიკავა ქ. ართვინი. წითელ ხიდის მიდამოებში სწარმოებს ბრძოლა ადერბეიჯანის რეგულიარულ ჯარებთან.

—

ფოილოს მიმართულებით 4 მაისს დაღამებისთანავე მტრის ძალა რიცხვით ერთი გუნდი შემოცვივდენ ჩვენ მოდარაჯეებს ფოილოს ხიდის ყურში წინ შთაბეჭდილებით თითქოს იერიში მოიტანეს ჩვენ დარაჯებზე, მხოლოდ უცეცხლოდ ჩვენი დარაჯები ადგილიდან არ დაიძვრენ, რომელთაც დახევას ლამობდნენ ან მათი ხელში ჩაგდებას.

5 მაისს დილით $3\frac{1}{2}$ საათზე ხიდს მოადგა მტრის ჯავშნიანი მატარებელი, წინ ჰქონდა პლატფორმა, უკან მობმული ვაგონები ხალხისთვის და დაუწყეს ჩვენს მოდარაჯე გუნდს სროლა ზარბაზნების ტყვიისფრქვევლებიდან. ჩვენმა წინა მოდარაჯეებმა თანახმად ბრძანებისა დაიხიეს უკან ხიდს ქვეშ გამართულ ბოგირით და ჩვენებმა მეორე მხრიდან დაუშინეს ტყვიის ფრქვევლებით, არტილერიით და თოფებით. ამასთანავე ერთად იძულებული ვიყავი აგვეფეთქებინა ხიდი.

დარიალის, როკის და მამისონის უღელტეხილებზედ სიმშვიდეა.

## დამფუძნებელი კრება

**4 აპრილის სხდომა.**

თავმჯდომარეობს **ხ. მდივანი.**

სხდომის გახსნისას თავმჯდომარემ შემდეგი სიტყვით მიმართა დეპუტატებს: დამფუძნებელ კრების წევრნო! მოგეხსენებათ, რომ ჩვენ სამხედრო სკოლას რესპუბლიკის გაბოროტებულნი მტრები თავს დაესხნენ და ამით ლამობდენ ხელთ ჩაეგდოთ, როგორც სამხედრო სკოლა, ისე მართვა გამგეობა საქართველოს რესპუბლიკისა. რასაკვირველია უგუნური იყო ასეთი გამოსვლა, მაგრამ ამ უგუნურებას თან სდევდა ქვენა ბოროტი ხასიათის განზრახვა ჩვენი მტრებისა, რომელსაც უეჭველად ერთი შედეგი უნდა მოყოლოდა და ეს იყო ის, რომ ის ხალხი, რომელიც მოდიოდა ბოროტ-მოქმედების ჩასადენათ და მართვა გამგეობის ხელში ჩასაგდებათ, საშინლათ დამარცხებულ იქნა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, იმიტომ რომ ჩვენი სამხედრო სკოლა დაწყებული ჯარის კაცებიდან, უფროსებამდე ყველა მუდმივ დარაჯათ უდგა ქართველ ხალხს, დამფუძნებელ კრებას, მთავრობას. უგუნურ ბოროტ ხალხის გამოსვლას, მათ ავანტიურას, თითონ სკოლამ საკუთარი ძალებით მოუღო ბოლო, ბოროტ-განზრახველნი ზოგი დასჭრეს, ზოგი დახოცეს, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენ მხრივაც იყო მსხვერპლი, დაიჭრა ორი იუნკერი და ერთი მათგანი მაყაშვილი უკვე გარდაიცვალა. მან თავისი სიკვდილით დაიმსახურა ნამდვილი მამულიშვილის სახელი და საქართველოს არა უშავს რა სწორედ იმიტომ, რომ ასეთი მაყაშვილები მრავლადა ყავს. წინადადებას ვაძლევ დამფუძნებელ კრებას ფეხზე ადგომით პატივი სცენ მის ხსოვნას (დეპუტატები და დამსწრე საზოგადოება ფეხზე დგება). ამას გარდა კიდევ მინდა მოგახსენოთ და ვიტყვი რომ საქართველოს ყველა კუთხიდან მოდის აუარებელი დეპეშები და იტყობინებიან, რომ მობილიზაცია საუცხოვოდ მიდის, ხალხში დიდი აღფრთოვანებაა (ტაში) და მთელი საქართველო, როგორც ერთი კაცი ფეხზე დადგა, რომ მიაშუროს საზღვრებს და დაიცვას იგი ყოველგვარ მტრისაგან. (ტაში).

**ი. ხალაყაას** მოხსენებით განხილულ იქნა (ზოგადად) საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის და ხარჯთ-აღრიცხვის კანონპროექტი.

**დავ. ონიაშვილის** მოხსენებით უკამათოდ მიღებულ იქნა დეკრეტი: ტფილისის მიხეილის სახელობის საავადმყოფოსთან არსებული სულით ავადმყოფთა თავშესაფარის შტატის დამატებისა.

**ვახ. ცაბაძის** მოხსენებით უკამათოდ მიღებულ იქნა (ზოგადად) კანონ-პროექტი ფოთის საკარანტინო, სოხუმის საზღვაო საექიმო და სანაინის სანაპირო საექიმო სამეთვალყურეო სადგურების შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

**ივ. გომართელის** მოხსენებით უკამათოთ მიღებულ იქნა მიწად მოქმედების სამინისტროსათვის დამატებად 43,701,848 მან. გადადებისა სამეურნეო-საოპარაციო ხარჯების დასაფარავად.

**ხ. ჯაფარიძის** მოხსენებით მოხდა მეორე (მუხლობრივი) განხილვა კანონ-პროექტისა—უჭკოისი და ჭკუაზე შეშლილის შემოწმების წესის შეცვლის შესახებ.

დასასრულს დახურულ კარებში განიხილეს დეკრეტი დარიალის რაზმის შტატის დამტკიცებისა.

## ქალაქის საბჭოში

4 მაისს ამხ. ალ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით შესდგა ქალაქის საბჭოს არაჩვეულებრივი სასწრაფო სხდომა. განსახილველი იყო საკითხი ადერბეიჯანში მომხდარ გადატრიალების და მასთან საბჭოს დამოკიდებულების შესახებ. კრებას დიდძალი გარეშე საზოგადოება დაესწრო.

გამგეობის სახელით მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ამხ. გ. კონიაშვილი.

**გ. კონიაშვილი**. ჩვენ შეგვიძლია ადერბეიჯანს სოციალისტურ რესპუბლიკის დაარსება მივულოცოთ. კომიკური შთაბეჭდილება იქნება იმით, რომ ეს მოხდა სახელმწიფოში, სადაც არ არის სკოლები, ხალხის დიდი უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია, სადაც არ არის ინტელიგენცია და სხვ.

ძირითადი მიზეზი მომხდარ გადატრიალებისა იმაშია, რომ ადერბეიჯანის მთავრობამ ვერ შეაკავშირა ხალხი, რომ იგი არ სარგებლობდაა ხალხის ნდობით.

წინასწარვე შეიძლებოდა იმის გათვალისწინება, რომ ადერბეიჯანში სწორეთ ასე უნდა მომხდარიყო, როგორც მოხდა, თუ ჩრდილოეთიდან საფრთხე მოგვადგებოდა. ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ მთავრობის კრიზისი ადერბეიჯანში მთელი თვეები გრძელდებოდა.

ადერბეიჯანი არ არსებობს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ეს ფაქტია. და ჩვენც დღეს ვდგევართ ჩრდილოეთის საფრთხის წინაშე. საჭიროა ამიტომ ვიცოდეთ, როგორი ძალა მოდის ბალშევიზმის სახით ჩვენს წინააღმდეგ.

თქვენ იცით, რომ ბალშევიზმის პირველი ლოზუნგი იყო საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციის მოხდენა და სოციალიზმის დამყარება.

პირველი ლოზუნგის ალაგი ლაიკავა ახალმა ლოზუნგმა—ლოზუნგმა ნაციონალურ აღორძინების შესახებ.

მაგრამ ამ შემთხვევაშიაც მათ არ დაუტოვებიათ, არ უარუყვიათ ბრძოლა ევროპასა და საერთაშორისო იმპერიალიზმის, კაპიტალიზმის წინააღმდეგ; ისინი განაგრძობენ ამ ბრძოლას, თუმცა უკანასკნელს ახალი სარჩული, ახალი ხასიათი ეძლევა: ბალშევიზმმა უარყო კავშირი განათლებულ ევროპის მუშათა კლასთან და თავისი ბედი აღმოსავლეთს შეუკავშირა.

თვითონ ბოლშევიზმმა, ებრძვის რა საერთაშორისო იმპერიალიზმს, ამავე დროს მიითვისა საკუთარი, ნაციონალური იმპერიალიზმი. ეს ფაქტია და აქ, რასაკვირველია, ბოლშევიკური ფრაზეოლოგია საქმეს არ აფერხებს: ყოველთვის ყველა მჩაგვრელები ჰუმანიურ და საკაცობრიო იდეალებით გამოდიოდენ და ამართლებდენ თავიანთ ჩაგვრის პოლიტიკას; მაგრამ მათი საქმე ყოველთვის ჩაგვრა იყო ობიექტიურათ და მეტი არაფერი.

ბოლშევიკები გრძნობენ ობიექტიურ საჭიროებას, რათა რუსეთში დამყარებულ იქნეს ნორმალური პირობები; და აი ისინიც მიისწრაფიან იქეთ, რათა აიძულონ ანტანტა ზავი შეკრას მათთან. ეს მათ უნდათ შეასრულონ აღმოსავლეთთან კავშირის დაჭერის საშუალებით.

მაშასადამე, ჩრდილოეთიდან მოდის ჩვენსკენ რუსეთის ნაციონალური იმპერიალიზმი და ასეთ პირობებში ჩვენი მოვალეობაა მთელის ძალ-ღონით წინააღუდგეთ მას.

სამწუხაროთ, დამაფიქრებელია ამ შემთხვევაში სომხეთის პოზიცია. იქ ფიქრობენ, რომ ჩრდილოეთის საფრთხე დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს. რასაკვირველია, ეს არ არის მართალი: საკმარისია გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ბალშევიზმი მიისწრაფის ანატოლიისაკენ, რომ მისი მოკავშირე იქნება და არის ქიმალ-ფაშა,—რომ აშკარა იქნეს, თუ რა საფრთხე მოელის წვრილ ერებს საერთოდ და კერძოდ სომხეთს. ბოლშევიზმი ასრულებს თავის დაპირებებს ოსმალეთის იმპერიალისტების მიმართ.

შემდეგ მომხსენებელი ეხება მდგომარეობას ჩვენში, მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს,—აღნიშნავს, რომ მობილიზაცია არაჩვეულებრივათ კარგათ მიმდინარეობს, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებში და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს დემოკრატია გამარჯვებული გამოვა განსაცდელიდან (ტაში).

მოხსენების შემდეგ ლაპარაკობენ ფრაქციათა წარმომადგენელნი.

**ივ. გომართელი** (ს.-დ.) ორატორი აღნიშნავს, რომ ადერბეიჯანმა დაჰკარგა არა მარტო დამოუკიდებლობა, მან დაჰკარგა ეროვნული თავმოყვარეობაც, რაც ერის სულიერად განადგურებას ნიშნავს.

დასასრულ ორატორი ამბობს: ჩვენც იქა ვართ, სადაც მთავრობა, სადაც ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდიაა... (მხურვ. ტაში)

**არ. ჯაჯანაშვილი** (სოც.-ფედ.). ორატორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბალშევიზმმა ვერაფერი დააკლო კულტურულ ერებს, როგორც არის მაგ. ფინლიანდია, პოლონეთი და სხვ. და „ფეხს მოიტეხავს საქართველოშიაც“. იგი მოითხოვს, რათა გაწმენდილ იქნეს მავნე ელემენტებისგან ტფილისი. პარტიის პოზიციის შესახებ ორატორი ამბობს: სოც.-ფედ. ფრაქცია ოპოზიციას აწარმოებს შინაურ საქმეებში, მას განზრახული აქვს არ დახაროს ეს დროშა ოპოზიციისა. მაგრამ დღეს არ გვსურს ჩვენ პარტიულ ანგარიშების გასწორება და ვამბობთ, რომ პარტია თქვენთან არის და იქნება (ტაში).

**პ. გოთუა** (ერ.-დ.). ორატორი აღნიშნავს, რომ საქართველო დღეს საკუთარ ძალების ამარაა. მისი აზრით დღეს დავიწყებული უნდა იქნეს ყოველგვარი პარტიული უთანხმოება და ყველა შემოკრბეს მთავრობის გარშემო; ერ.-დემ. პარტიაც ყოველგვარ დახმარებას გაუწევს მთავრობას სამშობლოს დაცვის საქმეში (ტაში).

**დ. ვაჩნაძე.** (ნაციონ.). მე ნაციონალისტი ვარ და სოციალურ მიზეზებს არ ვიღებ მოვლენების ასახსნელათ. ჩვენი მტერია რუსეთი. ორატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს, დედა-ქალაქი არა ჰგავს ქართულ ქალაქს; ქუჩაში, დაწესებულებებში, თეატრები—ყველგან გამეფებულია რუსული სული; ყველაფერი ეს ჰქმნის სრულ უფლებას და ანელებს თავდაცვის უნარს. ორატორი, სხვათაშორის, მოითხოვს ვორონცოვის ძეგლის მოხსნას: ბატონებო, ურეზოლიუციოთ მოვხსნათ ეს ვაჟბატონი და წავასვენოთ! შემდეგ ეხება სამხედრო სკოლაზე თავდასხმას და ამბობს, რომ სომხეთიც ჩვენი მტრებიაო.

**მიკირტუმოვი** უპასუხებს ვაჩნაძეს და ამბობს, რომ ნაძირალების მოქმედებით არ შეიძლება ბრალი დაედოს მთელ სომხის ერსო.

მ. კონიაშვილის საპასუხო სიტყვის შემდეგ ერთხმათ მიღებულ იქნა ივ. გომართლის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუცია:

„რუსეთის ყოფილ იმპერიის ტერიტორიაზე საქართველომ შესძლო რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნება, სახელმწიფოს შექმნა და დაცვა მასზე მომდგარ ყოველგვარ შავბნელ ძალებისაგან.

ამავე დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მტკიცეთ იცავდა ერთა სოლიდარობას, მეზობლებთან კეთილ განწყობილებას და კულტურულ კაცობრიობასთან მჭიდრო დამოკიდებულებას.

დღეს საქართველოს დამოუკიდებლობას, რევოლიუციით მონაპოვარ თავისუფლებათ

საფრთხე მოელის ბალშევიკურ-თურქულ იმპერიალიზმის მხრით.

ეს იმპერიალისტური ძალა წითელ და მწვანე დროშების ქვეშ ლამობს ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამხობას მოსკოვ-ორზრუმის ნაკარნახევ გზით და საშუალებით.

საქართველოს რესპუბლიკის დედა-ქალაქის დემოკრატიული საბჭო მთელი ტფილისის დემოკრატიის სახელით აღიარებს, რომ რესპუბლიკისა და თავისუფლების დასამხობათ მომართულ ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველთვის მტკიცეთ დაუჭერს მხარს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას და არავითარ საშუალებას არ დაზოგავს თავდაცვის საქმეში".

## დამფუძნ. კრების მისალმება

### სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს

გთხოვთ გადასცეთ სახ. გვარდიას დამფ. კრების გულმხურვალე სალამი.

დამფ. კრება გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს გვარდია ნათლად გაითვალისწინებს იმ საფრთხეს, რომელსაც რუსეთ-ოსმალეთის კავშირი საქართველოს უმზადებს და სამშობლოს თავისუფლებას თავდადებით დაიცავს.

### ბ-ნ სამხედრო მინისტრს

გთხოვთ გადასცეთ ჯარს დამფ. კრების გულმხურვალე სალამი.

დამფ. კრება გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს ლაშქარი ნათლად გაითვალისწინებს იმ საფრთხეს, რომელსაც რუსეთ-ოსმალეთის კავშირი ჩვენს ქვეყანას უმზადებს და სამშობლოს თავისუფლებას თავდადებით დაიცავს.

დამფ. კრების თავმჯდომარის

ამხანაგი **ს. მდივანი**

## თავდაცვისათვის

### ერობათა კავშირის კომიტეტისაგან.

ქართველი ერის წინაშე დაისვა საკითხი საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ყოფნა არ ყოფნისა. სოციალისტურ სამოსელში გახვეული იმპერიალისტები მუქარით უახლოვდებიან ჩვენი სამშობლოს საზღვრებს. მთავრობამ გამოაცხადა მობილიზაცია და უკვე მიიღო სათანადო ზომები თავდაცვისათვის.

ერობათა კავშირის კომიტეტი მოუწოდებს სამაზრო ერობებს გულმხურვალეთ და ენერგიულათ შეუდგენ თავის წმინდა მოვალეობის შესრულებას და მიიღონ ზომები, რათა მობილიზაცია სწრაფათ და მწყობრათ ჩატარდეს. და ამასთანავე თებებში მოეწყოს ჯარში გაწვეულთა ბალ-ვენახების და ყანების ხალხის მიერ დამუშავება.

დაუმტკიცეთ ქვეყანას, რომ საქართველო ძვირად აფასებს სისხლით მოპოებულ თავისუფლებას და კიდევაც შეუძლია მისი ღირსეულად დაცვა.

მობილიზაციის სასურველად ჩატარება და ჯარში გაწვეულთა ყანების დამუშავების უზრუნველყოფა—აი ორი საქმის სათანადოთ შესრულება პირველი გამოცდა იქნება საქართველოს ერობებისა.

### ინვალიდის გამოძახილი.

ლაგოდეხის თემისაგან შემდეგი დეპეშა მივიღეთ; ლაგოდეხის მოქალაქე ვასო ჯანიაშვილმა განაცხადა: მე ნიკოლოზის დროს ომში მომჭრეს მარცხენა ხელი, მაგრამ ეხლმაინც სამშობლოს და დემოკრატიული წყობილების დასაცავათ მზათა ვარ პოზიციაზე.

## მისალმება მთავრობას

მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშები მიიღო სოფ. ეკატერინოვკიდან:

გუმეტის მეორე პარტიული ყრილობა სალამს უძღვნის მთავრობის თავმჯდომარეს და მუშათა კლასის ბელადს და გამოსთქვამს აღფრთოვანებას მის გადაწყვეტილების გამო—მედგრად ებრძოლოს კარზე მომდგარ მტრებს. თავის მხრივ გუმეტის ყრილობა აღუთქვამს მთავრობას ყოველგვარ დახმარებას.

### ახალციხიდან.

მესხეთის ერობის ხმოსანთა მეორე ყრილობა სალამს გიძღვნით თქვენ—ერის რჩეულნო და წინამძღვარნო. ამ პასუხისმგებელ მომენტში თქვენთან ვართ. განაგეთ ჩვენი ქონება და სიცოცხლე. ბრძანეთ და აღსდგება ერთგული მესხეთი ძვირფას სამშობლოს დასაცავად.

ყრილობის თავმჯდომარე **ქაქელია.**

### ქუთაისიდან.

ქუთაისის რკინის გზის მუშათა მრავალრიცხოვანმა კრებამ მოისმინა მოხსენება თანამედროვე მომენტზე ამხ. კოლია ჭუმბურიძისა და დანამდვილებით გაეცნო შექმნილ მდგომარეობას აღერბეიჯანის მთავრობის თვალთმაქც მუხანათ მოღალატეობის აშკარად გაყიდვას აზერბეიჯანის რესპუბლიკისას სამხრეთიდან წითელ რეაქციის მოახლოებას, რომელიც საქართველოს მუშათა კლასისათვის განმანადგურებელია და არა გამანთავისუფლებელი და უცხადებს რა ზიზღს მოღალატეთ, ფიცსა სდებს ქვეყნის წინაშე რომ ის თქვენთან ერთად კვლავ მედგრად დაიცავს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის თავისუფლებას და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს ყოველგვარ რეაქციის წინააღმდეგ, მარჯვნიდან იქნება ის თუ მარცხნიდან.

კრების მონდობილობით **დ. ქარხალიშვილი**

## ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია

### 17 აპრილის სხდომა. ოქმი № 9.

(გაგრძელება)

**ხაჩატურიანი.** მე ვფიქრობ, რომ ევ. პ. გეგეჭკორის მიერ საკითხის დაყენება სწორია. ეხლა ყარაბახში მცხოვრებნი ტყეში არიან და თავს იცავენ, თუ თქვენ მათ წინადადებას მისცემთ, რომ ისინი დაბრუნდენ თავიანთ ბინაზე განსაზღვრულ გარანტიისა და უფლების მოუცემლად ეს ნიშნავს დასაღუპავად წასვლას, არავინ იქ არ წავა და თქვენ მიზანს ვერ მიაღწევთ. ჩვენი დადგენილება, რომ რეალური იქნეს ეს უნდა აღიაროთ, მცხოვრებთა მიმართ განსაზღვრული უფლებანი და მათ ძველი მდგომარეობის გარანტია მივსცეთ. უამისოთ თქვენ ვერაფერს ვერ მიაღწევთ. ამიტომ მე ვუერთდები ევ. გეგეჭკორის წინადადებას.

**ე. პ. გეგეჭკორი.** მე მოხარული ვარ, რომ თქვენ ამ დასკვნას მიადექით. მე გთხოვთ ოქმში შეიტანოთ, რომ სამხედრო მოქმედებანი უნდა შესწყდეს და მცხოვრებთ შეძლება უნდა მიეცეთ თავის ძველ ადგილებზე დაბრუნებისა. გთხოვთ ამას კენჭი უყაროთ და ამის შესახებ თქვენი აზრი გარკვევით გამოსთქვათ. თუ სომხეთის დელეგაცია ამას შეუერთდება, მაშინ, მე მგონია, რომ საკითხი გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს.

**ფ. ხანხოელი.** ჩვენ ყაზახსა და ყარაბახზე ვლაპარაკობთ, თუ საერთოდ სხვა ადგილებზე, როგორც მაგ. ყარსზე, ორდუბათზე და სხვა?

**გეგეჭკორი და აგაევი** ამბობენ: მხედველობაში გვაქვს შეტაკებანი ყველგან, სადაც კი ამას ადგილი აქვსო.

**მამიკონიანი.** ჩვენი დადგენილება, ეხებოდა იმ ადგილებს, რომელნიც მხედველობაში გვქონდა და ჩვენ მასში შევიტანეთ ყარაბახი, ნახიჩევანი, ორდუბათი და ყაზახი. ჩვენ არ შევხებივართ ელისავეტოპოლისა და ნუხის მაზრებს, ყარსის ოლქს და ერევნის მაზრას. ჩვენი პირველი მუშაობა იყო შეგვეჩერებია ის შეტაკებანი, რომელიც კონფერენციას მუშაობის დაწყების დროს ხდებოდა.

**ხანხოელი.** მე კიდევ ვიმეორებ, რომ არ შეიძლება ყაზახისა და ყარაბახის საკითხთა შერევა. პირველ შემთხვევაში ლაპარაკი შეიძლება იქნეს სადემარკაციო ხაზამდე დაბრუნების შესახებ და ყარაბახის საკითხში—შინაურ ხასიათის საკითხში—ლაპარაკი შეიძლება იქნეს მცხოვრებთა უფლებრივ მდგომარეობის შესახებ, მთავრობისა და მცხოვრებთა განსაზღვრულ ნაწილის დამოკიდებულების შესახებ.

**გეგეჭკორი.** მე ვფიქრობ, რომ აქ სრულებით უბრალოდ აკავშირებენ ერთ საკითხს მეორესთან, ყაზახის საკითხს ყარაბახის საკითხთან. ყაზახში უნდა მოხდეს ძველ სადემარკაციო ხაზზე დაბრუნება და ლტოლვილთა დაბრუნება, ყარაბახში მცხოვრებნი უნდა დაბრუნებულ იქმნან თავის ძველ ადგილებზე, შემდეგ დაისვას კითხვა მცხოვრებთა უფლებრივ მდგომარეობის შესახებ და ამით მოხდეს მათი დამშვიდება.

**ჯანჯანიანი.** მე არ ვიცი, თუ რათ არის ასეთი თანაბარი დამოკიდებულება ყარაბახისა და ყაზახის საკითხებისადმი. ყაზახში ჩვენ სასწრაფოდ გავგზავნეთ კომისია სისხლის ღვრის შესაწყვეტად. ყარაბახში კი 40 დანგრეული და დამწვარი სოფლის მცხოვრებნი ღია ცის ქვეშ იმყოფებიან და ჩვენ სრულიადაც არ ვიჩქარით ყარაბახის შესახებ ერთდროულად ყაზახის საკითხში ჩვენ მიერ მიღებული დადგენილების ანალოგიური დადგენილება უნდა გამოვიტანოთ. ჩვენ არც კი ვიცით წამოვიდენ, თუ არა აღერბეიჯანის წარმომადგენლები ევლახიდან, თუ ჩვენ კომისიას ბაქოში ჩასვლა მოუხდება ისე, როგორც ამის წინადადებას აქ გვაძლევენ მე ვფიქრობ, დავადგინოთ და შევქნათ იმის პირობები და შესაძლებლობა, რომ ყარაბახის სომეხი მცხოვრებნი თავის სოფელს დაუბრუნდენ.

**გეგეჭკორი.** ჩვენ აქ სხვა არაფერი გვითქვამს.

**ხანხოელი.** მე ვეთანხმები მას, რომ სომხებს მივსცეთ გარანტია ყარაბახში მათი სრული ხელშეუხებლობისა და თავის ადგილებზე დაბრუნების შესაძლებლობა, მაგრამ საჭირო არ არის აღერბეიჯანის მთავრობის სუვერენიტეტის შეზღუდვა სომხების მიმართ. ყ ზახში კი სომხების მიერ მუსულმანებისადმი თავის ადგილებზე დაბრუნების შესაძლებლობის მინიჭების შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლება, რადგან ყაზახი აღერბეიჯანს ეკუთვნის. სხდომა სწყდება 15 წუთ. სხდომა კვლავ იხსნება. კონფერენციის თავმჯდომარე **აგაევი** აცხადებს: აღერბეიჯანის დელეგაცია გამოდის რა იმ თვალსაზრისიდან, რომ კონფერენციას თავის შეხედულება უნდა ჰქონდეს ყაზახის მაზრაში გაგზავნილ კომისიის მოხსენების შესახებ, შემოაქვს შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა კონფერენციამ კომისიის მოხსენება ყარაბახის ამბების შესახებ, იგი ადგენს: ყაზახის რაიონში, სადაც სომეხ-მუსულმანთა შეტაკებანი არსებობდა, უნდა აღდგენილ იქნას ის ტერიტორიალური „სტატუსი", რომელიც ამ შეტაკებამდის არსებობდა".

(შემდეგი იქნება).

## ასპინძის ბრძოლის 150 წლის თავი

### 1770 $\frac{20}{IV}$ 1920

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა).

ომის დასაწყისშივე რუსის ჯარმა დაიჭირა აზოვი და ტაგანროგი. ამის გამო ეკატერინე სწერდა ვოლტერს: „ომის დროს მე შევიძლე ორი რამ ახალი—დავიპყარ აზოვი და ტაგანროგი. აი ეს ორი სათამაშო, რომელიც სასიამოდ მივიღე". მართლაც, ეს იყო დასაწყისი საპოლიტიკო მიზნებისა, მაგრამ ვიდრე ყირიმის მოსახლე თათრები დარჩებოდნენ ოსმალეთის ქვეშევრდომად, მანამდე შავსა და აზოვის ზღვებზე ბატონობის შესახებ ფიქრიც არ შეიძლებოდა. ამ გვარად ომის მიზნები ფართოვდებოდა ამოცანით—როგორ გადაიწყვიტოს თათართა კითხვა.

ეკატერინემ გაუგზავნა თათრებს თავის ემისრად ვიღაც კრუტტი, ზედ წოდებით ლამეხი, რომ მან გაუორგულოს ოსმალეთს თათრები საკუთარ დამოუკიდებელ მთავრობის მოწყობის შთაგონებით. ყოველი მოლაპარაკება მინდობილი ჰქონდა მთავარსარდალს გრაფ პ. პანინს, რომელსაც აგრეთვე გადაეცა ორი წერილის ფორმა მიმართვით ხანისადმი და ყირიმის და ნოღაის ყველა თათრებისა. ამ წერილებში განმარტებული იყო მოღალატეობა და უსამართლობა პორტის მიერ ომის გამოცხადებისა, ნათქვამი იყო, რომ დედოფალს არ სურს საკუთარ საზღვრების გავრცელება; შემდეგ გამოცხადებული იყო გულშემატკივრობა თათრებისადმი ოსმალთა მძიმე და სამარცხვინო უღლის ქვეშ ყოფნის გამო, ბოლოს ურჩევდენ ესარგებლნათ შემთხვევით, რათა გაენთავისუფლებინათ თავი მონობის უღლისაგან და შეეძინათ დამოუკიდებლობა, ამასთან ეკატერინე ხმა-მაღლა აღუთქვამდა, რომ იგი არ ფიქრობს ისარგებლოს ყირიმელთა დახმარებით წინააღმდეგ პორტისა, და მხოლოდ მას ჩათესლებულ ბუნებრივ კაცთმოყვარეობის გამო სურს თავისუფლება მიანიჭოს შევიწროვებულთ.

ამ დროს თათრები იყოფებოდნენ ყირიმლებად და ნოღაელებად. ემისრების წინადადებას ყირიმის ხან ყაფლანგირეი ოსმალთ მოყვარული პასუხით შეეგება. ხანი აქებდა პორტის ძლიერებას, აცხადებდა თავის ერთგულებას სულთანისადმი და მის უფლების ქვეშ ყოფნას ბედნიერებად სთვლიდა. მაშინ გადასწყვიტეს გაუგზავნონ ნოღაელებს ახალი ემისარები „რაოდენიმე ვაშკარან ფულით და შესამჩნევ საჩუქრებით, რათა იწყონ ქადაგება ახალი ხანის ამოსარჩევად და რუსეთის მფარველობის ქვეშ თათართა ახალის დამოუკიდებელ სახელმწიფოს დასაარსებლად.

ემისრებმა მოახერხეს მიბირება ნოღაელებისა, რომელნიც განუდგნენ ოსმალეთს და 6 ივნისს 1770 წელს შედგენილ იქმნა შესაფერი ხელშეკრულება თათართა მიერ ფიცითი ფურცლებით დეპუტაციის წარგზავნით პეტერბურგს. ადგილი არ იყო მოლაპარაკება ყირიმის ხანთან. მაშინ გადასწყვიტეს გაგზავნონ ყირიმს ჯარები. ხანი სელიმ-გირეი გაიქცა, ახლად ამორჩეულ ხანმა საჰიბ-გირეიმ 1771 წლის დასასრულს მიიღო წინადადებული პირობები. თითონ თათრები მეტად მტრულად მოეპყრნენ ამ მოლაპარაკებებს:—ყველგან იწყეს შეიარაღება და ზღვის პირა ადგილებიდან მთებში შეიფარნენ. ყირიმლებზე ზედმოქმედების მოსახდენად ბაღჩისარაიას მოვიდა გენერალი შჩერბინინი 1500 მეომრით და ეკატერინესაგან საჩუქრებით ხანისათვის. შჩერბინინს მიცემული ჰქონდა დარიგება—მფარველობით ტრაქტატში უსათუოდ გამოეთხოვა თათრებისაგან დათმობა რუსეთისთვის ციხეებისა ენიყალეს და ქერჩის მათ მიდამოებით და მათში ჩაყენება რუსთა მეციხოვნეებისა. თათრებს ვერ გაეგოთ, რომ იგინი თავისუფალ იქნებოდნენ მხოლოდ რუსეთთან კავშირით, მის ზედამხედველობით და მის ჯარებით ციხეებში. „რა საჭიროა დაცვა თავისუფალ კაცისა", იკითხებოდა ხანი, რაზედაც შჩერბინინმა უპასუხა: „თავისუფლება მის დაუცველად თავისუფლება არ არისო, რადგან იგი ყოველ ჟამს შეიძლება წართმეულ იქმნესო". მაგრამ ხანი მედგრობდა. რუსის მთავრობა დათმობას დაადგა: იმედოვნებდა რა, რომ ოსმალებთან მოლაპარაკებაში საკეთილოდ დასრულდებოდა კითხვა ციხეების შესახებ. გრაფი პანინი სწერდა შჩერბინინს, არ დათანხმებულიყო ამ მუხლზე, ცდილიყო თუნდაც მოსყიდვით მიეღო თათრების სადეკლარაციო თანხმობა შესახებ მათ სურვილისა დამოუკიდებლად ყოფნის შესახებ, ვინაიდგან ესეთი დეკლარაცია საჭიროა როგორც მომავალ მოლაპარაკებისთვის ოსმალებთან, ისე უცხოეთის სახელმწიფოებთან. შჩერბინინმა მიაღწია თავისას, და თხოვნაში ეკატერინესადმი თათრებმა მოითხოვეს დაიკაონ ციხეები ენიყალე და ქერჩი დასაცველად თათართ თავისუფლებისა. ხანი საჰიბგირეი დათანხმდა მოეწერა ფიცითი ოქმი შესახებ მთელის ყირიმის ხალხის საუკუნოდ გამოყოფისა პორტისაგან და რუსეთის მფარველობის მიღებისა მის მიერ.

ნოემბერს 1772 წელს შედგენილ და მოწერილ იქმნა ტრაქტატი და დეკლარაცია, რომ ყირიმელთ სურთ იყვნენ დამოუკიდებელი ხალხი რუსეთის მფარველობის ქვეშ.

1772 წელს გადასწყდა პოლონეთის კითხვა. რუსეთის წარმატებამ ოსმალეთის ომში და მის წადილმა დასაპყრობად მოლდავიისა და ვლახეთისა აიძულეს ავსტრია მიეღო გეგმა ფრიდრიხ II-ისა—დაეკმაყოფილებინა რუსეთი პოლონეთში. უმეტესად ყოველთა ფრიდრიხი, რა თქმა უნდა, ცდილობდა გაეფართოვებინა თავისი სამფლობელოები. 14 ივნისს რუსეთსა, ავსტრიასა და პრუსიას შორის დაიდო ხელშეკრულება პოლონეთის პირველ გაყოფის შესახებ. სამ სახელმწიფოს ჯარებმა დაიჭირეს ხვედრი მიწები; პოლონეთის სეიმმა სამხედრო ძალმომრეობის ზეგავლენით დაადასტურა ეს უაღრესად უსამართლო ოქმი განაწილებისა. პირველ გაყოფას ბოლოს მოჰყვა მეორე გაყოფაც 1793 წელს და მესამეც 1795 წელს. პოლონეთი დაგლიჯეს ნაწილებად.

(შემდეგი იქნება).

## ახალი ამბები

◆ 3 მაისს სომხეთის პარლამენტმა იქონია მსჯელობა აზერბეიჯანის მთავრობის გამოგზავნილ ნოტის შესახებ, მოიწონა სომხეთის მთავრობის ნოტაზე გაგზავნილი პასუხი და დაადგინა, რომ მტკიცეთ დაიცვან სომხეთის დამოუკიდებლობა და სამშობლო ქვეყანა გადაანარჩუნონ ფიზიკურ განადგურებას.

◆ თავდაცვითი საბჭომ და მთავრობამ შეიმუშავა დებულება მობლიზაციით გაწვეულ ჯარის კაცების ოჯახების დახმარების შესახებ.

◆ თიანეთის მაზრაში შესდგა თავდაცვითი კომიტეტი. კომიტეტში შედიან: ერობის, ქალაქის თვითმართველობის, გვარდიის ჯარის წარმომადგენელები. ყველა რაიონებთემებს გვარდიასთან ერთად მიენდოთ ორგანიზაციის მოწყობა, რომ გამოცხადებული მობლიზაციამ კარგად ჩაიაროს.

◆ დამფუძნებელ კრებასთან არსებულმა ხელოვნების კომისია უკვე შეუდგა სტადიონის გაკეთებას ვაკეზე. სტადიონი გაკეთდება 26 მაისის დღესასწაულამდის.

◆ საქართველოს რკინის გზელთა ცენტრალური გამგეობა სალამს უძღვნის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას და აღთქმას სდებს, რომ მედგრად შეებრძოლება თავისუფლების მტრებს, როგორც გარედან თავდამსხმელებს, ისე შიგნით მომუშავე ბნელ ელემენტებს.

◆ ყაზბეგიდან მთავრობის სახელზე დარიალის რაზმისგან მოსულია შემდეგი დეპეშა: მთელი რაზმი გულწრფელ აღთქმას სდებს საქართველოს მთავრობის წინაშე, რომ საქართველოს თავისუფლების დასაცავად ყველანი იბრძოლებენ და არავის გაათელვინებენ რევოლიუციის მონაპოვარ თავისუფლებას.

◆ დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე დაბრუნდა ქუთაისიდან.

◆ ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი გაემგზავრა ქალაქ ფოთში სხვა და სხვა საქმეების გამო.

◆ სენატორ გ. რონიაშვილის განკარგულებით 4 მაისიდან 1920 წ. № 114 უნდა ყველა სასწავლებლებში წარადგინონ მოწაფეება ჯარში გაწვევის საბუთები 2 კვირის განმავლობაში, რომელნიც დაბადებულნი არიან 1897, 1898 და 1899 წლებში, დაუყოვნებლივ უნდა წარადგინონ თავიანთ ვინაობის შესახებ დაწვრილებით საბუთები: რომელ ეროვნებას ეკუთვნიან, მსახურობდნენ ჯარში თუ არა, ან რა შეღავათით სარგებლობდნენ; სხვა სახელმწიფოთა ქვეშევრდომ მოწაფეებმა უნდა საბუთები წარადგინონ ადგილობრივ საკონსულოდან ან მისიებიდან. ვინც ამ ცნობებს არ წარმოადგენს ის დათხოვნილი იქნება სასწავლებლიდან. მოწაფეების ახლად მიღებაზე სასწავლებელში უნდა იხელმძღვანელონ სენატორ რონიაშვილის განკარგულებით.

## ნ ა ვ თ ი

უკანასკნელ დღეებში მომხდარ ამბების და ნავთზე ფასის აწევის გამო, ქ. გ. სასურსათო განყოფილება აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ნავთის რაოდენობა რესპუბლიკაში აღემატება რამდენიმე წლის მოთხოვნილებას და ყველა მცხოვრებნი დაკმაყოფილებულ იქნებიან ნავთით თავის დროზე და სავსებით.

რომ ნავთი თანასწორად იქნას განაწილებული და აგრეთვე სპეკულიაციის ასაცდენათ, იგი დარიგდება ქალაქის სასურსათო წიგნებით ყოველთვიურათ ოჯახზე თითო ფუთის რაოდენობით.

ნავთი განაწილდება სასურსათო განყოფილების მიერ ყველა უბნებში მოწყობილ ადგილებიდან და აგრეთვე ქალაქის ყველა ნაწილებში დატარებით.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

ქ. ტფილისის მე-16 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ გევორქ გლახას ძის ბაკარიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ბაკარიანცის ქონებაზე. თანახმათ 1241 მუხ. ძალ. 1 ნაწ. X ტ. (კრებ. სამოქ. საქ. გამოც. 1887 წლ.) 761 3—2

სოფელ ახალქალაქის ერობის გამგეობა აცხადებს, რომ მისგან მიცემული მოწმობები სოფელ მეტეხის მოქალაქეებზედ 1. მიხეილ იაბორიძის № 1233. 2. ანდრია ზაქარიას ძე კალატოზიშვილის № 1239 და 3. გიორგი ზურაბის ძე პატარქალაშვილის № 1240, საკუთარი მამულის რაოდენობის შესახებ, გაუქმებული არის დღეიდან ‹ნ› ნატარიუსებმა არ უნდა დაუმტკიცოს ზემოაღნიშნულ პირთ. 861 3—3

დამეკარგა მოწმობა აღებული ტფ. ქალ. სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსისგან 23 თებერ. 1920 წ. № 763, საქ. რესპ. სათადარ. ლაშქრის ოფიცერი შალვა თ. ნადარეიშვილი. 811 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა ოლღა ბარისის ასული თვაურის სახელზე მომარაგების კომიტეტის № 55. ჩაითვალოს გაუქმებულათ 805 3—3

ნიკ. ელიავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა დამფუძნებელი კრების წევრობის ბილეთი № 54 გაუქმებულათ ჩაითვალოს. 488 3—3

დავკარგე ექვსი სულის სასურსათო წიგნაკი № 2054 პლატონ კონსტანტინეს ძე მოდებაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 837 3—3

მიხეილ იაკობის ძე დავარაშვილმა დავკარგე სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების მოწმობა მიცემული გორის სამხედრო უფროსისგან № 1102. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 826 3—2

დაიკარგა დროებითი მოწმობა ტიგრან გერასიმეს ძე გენჯუნცევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 887 3—1

დაიკარგა ორლოვის ქუჩაზე № 19 მდებარე ანა ლებანიძის სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 850 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი პოგოს სიმონის ძე ტერ-ავეტისიანის სახელზე, მიღებული ერევნის მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 893 3—1

დაიკარგა პასპორტი სერაფიმა ივანეს ასული გოლუბევას სახელზე, მიღებული ქ. ვიტებსკის პოლიციის სამმართველოდან 1917 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 901 3—1

დაიკარგა პასპორტი № 3466 ვიქტორ ვლადიმერის ძე ნაგაევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 11 ივლის 1918 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს 902 3—1

მოწმობა № 124, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმიდან კოსტანტინე მიხეილის ძე ნაკაშიძის სახელზე 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 848 3—1

დავკარგე სახილმწიფო უნივერსიტეტის სამათემათიკო საბუნების მეტყველო ფაკულტეტის სამეურნეო დარგის სტუდენტმა სერგო ბ. შარშანიძემ სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწმობა. 832 3—1

დაიკარგა სამი სულის სასურსათ წიგნაკი № 5394 ანდრია კლემენტის ძე ლორთქიფანიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 814 3—1

ქალაქ ტფილისის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 6 მაისს, სამშაბათს, დილით 12 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმმართველობის შენობა, თავისუფლების მოედანზე) საჯარო ვაჭრობა ქალაქის სასწორის, რომელიც მდებარეობს თათრის მოედანში მე 5 უბანში, იჯარით გასაცემათ. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაშუადღევის 2—3 საათზე. 30 აპრ. 2 და 6 მაისს. 483 3—3

დაკარგულია 4 სულის სასურსათო ბარათი № 11069 მიცემული მასწავლებელ სევარ-ხანუმ გასანოვაზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 816 3—

დაიკარგა ორი ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ: ერთი 17 დეკემბერს 1908 წ. № 2858 დმ მეორე—21 სექტემბერს 1913 წ. № 805. სტეფანე ივანეს ძე დავიდოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 774 3—3

დაიკარგა ტიმოფეი კოლენიჩენკოს, მინკევიჩის ქუჩაზე № 10, მდებარე სახლის დავთარი. გაუქმებულიდ ჩაითვალოს. 785 3—3

დაიკარგა სერებრიანი ქუჩაზე № 41 მდებარე ლიდია ალექსის ასულის პეტროვსკის სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 823 3—3

დაიკარგა რკინის გზის გადაღმა მდებარე აბრამ ახვერდოვის სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 829 3—3

პორფირე მალაქიას ძე შიშინაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრისაგან თავისუფლების საბუთები: 1 მიღებული 1 მესანგრეთა როტიდან; 2.—1 პოლკიდან; 3.— პირველი ცხენოსანთა რაზმის სამმართველოდან და 4— ქუთაისის გვარდიის შტაბიდან მიღებული მოწმობა, აგრეთვე მეტრიკული ამონაწერი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 821 3—3

დაკარგულია ევა მაქსიმეს ასულის ჯავახიშვილის სახლის წიგნი (მამა-დავითის მოედანი, ნაკადის შესახვევი, № 4) გაუქმებულათ ჩაითვალოს. 818 3—2

დაიკარგა პასპორტი № 3371 არქეოლოგი ვიაჩესლავ ონუფრის ძე კრუგლიკის სახელზე, მიღებული ოდესის გრადონაჩალნიკის სამმართველოდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 846 3—3

კონსტანტინე გარსევანის ძე ქასაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მე-5 უბნის მომრიგებელ მოსამართლიდან 1919 წ. ოქტომბრის 23-ს მიღებული აღმასრულებელი ფურცელი № 344 გარდაცვლილ ალექსი ტატოშვილის ქონებიდან ფულის გადახდევნების შესახებ. ფურცელი გაუქმებულათ ითვლება. 795 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი მარიამ მარტიროსის ასული არაქელოვას სახლისა, რომელიც მდებარეობს პუჩკოვსკისა და მეტეხის ქ. კუთხეში № 13|15. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 798 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მარიამ ჩაუსოვას სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამართველოდან, 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 903 3—1

რახმან ისაკის ძე ბაბანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 4139, მიღებული სოფლის სამმართველოდან 1917 წ. სიმხედრო ბევრიდან განთავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფილ. მაზ. სამხ. უფროსიდან 1919 წ. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს 772 3—3

ივანე ილიას ძე მაზიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებულილი ტფ. ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისაგან და მეორე კომისარიატში გამოცხადების მოწმობა (ნაუჩოტნიკი). გაუქმებულათ ჩაითვალოს. 849 3—1

დაიკარგა 4 სულის სასურსათო წიგნაკი № 10782 ივანე ნიკოს ძე იჩკითის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 840 3—1

დაიკარგა პასპორტი № 1145 გიორგი გრიგორის ძე შატველოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 842 3—1

პეტრე გიორგის ძე ქებაძე აცხადებს. რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ყირიმის ქართულ ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარისგან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 797 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ოქონის საზოგადოებიდან და სამხედრო ბეგრისავან თავისუფლების მოწმობა მიღებული გორის მაზრის სიმხედრო აღრიცხვის უფროსისგან სპირიდონ გაბოს ძე გოგიჭაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 812 3=1

## გორის მაზრის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „ხორბალი"-ს

გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა წლის ივნისის 6-ს დილის 11 საათზე ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგად. ბინაზე (დამფუძნებელი კრების ქუჩა, 6) მოხდება ხსენებული ამხანაგობის წევრთა საგანგებო

## საზოგადო კრება

განსახილველი საგნები: ა) ამხანაგობის თანამდებობის პირთა არჩევა, ბ) ამხანაგობის წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა და გ) ამხანაგობის მოქმედების გაძლიერების ზოგიერთი საკითხი. 886 1—1

## მომარაგების სამინისტროს მიერ
### გაცემული ნებართვების სია.

| რიცხვი | ნებართვის № | სერია | ფურცელი | გვარი და სახელი. | საქონელი. |
|---|---|---|---|---|---|
| 26 მარტ | 2202 | 35 | 1724 | მთელ რუს. მომხმ. საზოგ. ცენტ. კავშირს. | ფურცლოვანი თამბაქო. |
| " | 2203 | " | 1722 | შნეეროვი მოსე. | ცარიელი კასრები. |
| " | 2304 | " | 1726 | განუსეგილი ელისაბედ. | საშინაო წარმოება. |
| " | 2205 | 10 | 465 | კავკ. სამრეწვ. და სამედ. საზოგადოებას. | მანქანების მოწყობილებები. |
| " | 2206 | 35 | 1718 | მეხილეთა ამხ. „ქართლი". | კომპოსტო. |
| " | 2207 | " | 1727 | მგენინკისა მარიამ. | კამილ. საექ. ინსტრუმენტები. |
| " | 2209 | 33 | 1621 | ტერ-არუთინოვი ივანე. | სხვა და სხვა თიხის ჭურჭლები. |
| " | 2211 | 35 | 1701 | საქ. სახ. რკ. გზებ. სასურ კომიტ. | დამარილებული თევზი. |
| " | 2212 | " | 1728 | " " " " | ჯაგარი. |
| " | 2213 | " | 1719 | საქ. ცენტრ. კოოპ. კავშირს. | ცარიელი თევზის კასრები. |
| " | 2214 | 32 | 1559 | საქ. სახ. რკ. გზ. სასურ. კომიტ. | შაქრის ფხვნილი და პაპიროსები. |
| " | 2 15 | 35 | 1723 | გალდავაძე პეტრე. | ღვინო კასრებით. |
| " | 2216 | 33 | 1618 | ჩაჩიბაია ვასილ. | ღვინო ბოთლებით. |
| " | 22 9 | " | 1619 | " " | " " |
| " | 2220 | " | 1620 | " " | " " |
| " | 2221 | 35 | 1735 | " " | ხალიჩები. |
| " | 2222 | " | 1725 | შენგელია ელისო. | თხილი ტომრებით. |
| " | 2223 | " | 1721 | სავაჭრო სახლი ძმ. სკობელიევის. | ფეხსაცმელის დანჩ. |
| " | 2225 | 10 | 498 | ტფილისის სავაჭრო ბანკს. | სხვა და სხვა საქონელი. |
| 27 მარ. | 2226 | 35 | 1797 | საქ. დიპ. მის. წარმ. მდივანს ფანჩელს. | სხვა და სხვა საქონელი. |
| " | 2227 | 34 | 1682 | გაჯი-მამედ აჯი-აბბა-ოღლი. | " " " " |
| " | 2228 | 35 | 1739 | ამიერ-კავკ. რუსთა ეროვ. საბჭოს წარმომადგენელს. | " " " " |
| " | 2234 | 35 | 1729 | საქ. რესპ. მომარაგ. სამინ. წარმ. | ხე-ტყის მასალა. |
| " | 2235 | 36 | 1763 | ტფილისის სპილენძის ქარხანას. | ფურცლოვანი სპილენძი |
| " | 2236 | " | 1764 | " " " | " " |
| " | 2237 | " | 1760 | „ენფიანჯიანცის" თამ. ფაბრიკა. | დამუშ. თამბაქო. |
| " | 2238 | " | 1762 | " " " | პაპიროსები. |
| " | 2239 | " | 1761 | " " " | " |
| " | 2240 | " | 1743 | სააკოვი. | ხალიჩები. |
| " | 2241 | 33 | 1646 | აზერ. გზათა სამინ. შემსყ. კომისარს. | ტეხნიკური მასალები. |
| " | 2242 | 36 | 1765 | საქ. სახაზ. რკ. გზ. სასურ. კომიტეტს. | თეთრი ფქვილი. |
| " | 2243 | 35 | 1740 | აზერ. გზათა სამინ. შემსყ. კომისარს. | თოვლის საფარავი. |
| " | 2244 | " | 1741 | აზერ. გზათა სამინ. შემსყ. კომისარს. | " " |
| " | 2245 | 36 | 1771 | უშრომოვისა ნატალია. | სხვა და სხვა სურსათი. |
| " | 2247 | " | 1769 | აბრამოვიჩი ალექსანდრე. | ხალიჩები. |
| " | 2250 | " | 1766 | ჯინჯისაშვილი იაკობ. | ღვინო კასრებით. |
| " | 2251 | — | — | საქ. ცენტრ. კოოპ. კავშირს. | ბურაკები. |
| " | 2252 | 35 | 1706 | „საფაროვის" თამბ. ფაბრიკა. | პაპიროსები და დამუშ. თამბაქო. |
| " | 2253 | — | — | ტალანოვი ალექსი. | ღვინო კასრით და ბრინჯი. |
| " | 2254 | 35 | 1738 | პეტროსოვი-კაპენიანცი. | კნუტები. |
| " | 2255 | " | 1742 | ფეოფანოვი ონისიმე. | წმინდა სანთელი. |
| " | 2256 | — | — | გეგეჭკორი გიორგი. | ნავთი, მარილი და ბრინჯი. |
| " | 2257 | 36 | 1773 | სულეიმანოვი დავით. | ხალიჩები. |
| " | 2258 | " | 1767 | ლებორონი კაი. | საწერო მანქანები. |
| " | 2259 | " | 1772 | ეგოროვი ი. | ხალიჩები. |
| " | 226[illegible] | " | 1776 | შაბიელ მოხელის წარმომადგენელს ჟონ ჰერბერტი. | პაპიროსები ხიზილალა და კვერნის ტყავი. |
| " | 2262 | " | 1758 | აბრამოვი აბრამ. | ხალიჩა. |

386

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ მაჭავარიანი.